ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 24 სექტემბერი, 2019 წელი

დრო: 14:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: ევროკავსირისა და ნატოს საინფორმაციო ცენტრი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
2. მანანა ნიწაძე-მიქელაძე- თავისუფალი არჩევანი
3. პავლე ცაგარეიშვილი - მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები
4. გიორგი თევზაძე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
5. გიორგი კაკუბავა - ადამიანის უფლებათა ცენტრი
6. გიორგი აზარიაშვილი - კავკასიის ახალგაზრდული კავშირი
7. ელენე ფილეევა - კონსტიტუციის 42-ე მუხლი
8. ნანა გელაშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული
9. სიმონ გურეშიძე - თომას ჯეფერსონის ცენტრი
10. მამუკა ყუფარაძე - სტუდია რე
11. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
12. მარიამ რომელაშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
13. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
14. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
15. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
16. ლიკა ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
17. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დაცველი

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ცვლილებები და ეთიკის კოდექსის განხილვა
2. მიკროგრანტების გაცემის საკითხი

პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ლაშა ტუღუშმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად კოორდინატორმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. წესდების ცვლილების პროექტი გადაეგზავნათ საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს. პირველი ჯგუფის კოორდინატორმა წევრებს დეტალურად განუმარტა წესდების ცვლილების პროექტში ასახული ყველა ცვლილება თუ დამატება, რომელიც მომზადდა.

იმ ფაქტმა, რომ ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი, ეროვნული პლატფორმები ვალდებულნი იყვნენ, თავიანთი კოდექსი მოეყვანათ შესაბამისობაში აღნიშნულ დოკუმენტთან. შესაბამისად, კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მომზადდა და რომელიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე , არის ცვლილებების პროექტი ეთიკის კოდექსში, რომელიც ასევე განიხილა ჯგუფის კოორდინატორმა და განმარტა ყველა საკითხი. აღნიშნული დოკუმენტიც წესდებასთან ერთად გადაიგზავნება საქართველოს ეროვნული პლატფორმის ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რათა წინასწარ გაეცნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საერთო კრებაზე.

მნიშვნელოვანი საკითხია პლატფორმის მიერ გრანტების გაცემის საკითხი, რომელიც წელს პირველად განხორციელდება, იმ ცვლილებების საშუალებით, რომელიც ფორუმმა მიიღო მიმდინარე წელს. ჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნული პოზიტიური ცვლილების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია ჯფუფის შეხვედრაზე წარმოდგენილ სზოგადოებას, ასევე გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მიკროგრანტების გაცემის საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე